GÜRTİAD

EKONOMİ BÜLTENİ

ეკონომიკური გამოცემა

15 Temmuz /ივლისი 2025

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 704.5	9 141.4	9.4%	13.9%	3.5%

Başbakan Kobakhidze Gürcistan İş Dünyası Temsilcileriyle Toplantı Yaptı

ირაკლი კობახიძე ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს შეხვდა

Gürcistan Başbakanı iş dünyası temsilcileriyle görüşme yaptı.

Toplantıda, ülkenin ekonomisindeki olumlu eğilimler ve Gürcistan'ın, geniş bölge ve Avrupa'da birinci sırada yer aldığı yüksek ekonomik büyüme hızı üzerine dikkat çekilmiştir.

Hükümet Başkanı, ülkede yoksulluğun azaltılması ve istihdam artışı konusundaki olumlu göstergelerden bahsetti. Kobakhidze, geçen sene 68 bin yeni iş yerinin oluşturulduğunu ve bunun büyük ölçüde iş dünyasının katkısıyla sağlandığını vurguladı; iş yerlerini yaratma sorumluluğun iş dünyasına ait olduğu için iş insanlarına teşekkür etti.

İş toplantısında Irakli Kobakhidze, yolsuzluğun en aza indirilmesi amacıyla hükümetin kadro kararları dahil attığı adımlara dikkat çekti. Yolsuzluğun ekonomik gelişimi engellediği vurgulandı ve yolsuzluk seviyesini en aza indirmek için her şeyin yapılacağı belirtildi.

Hükümet Başkanı ayrıca tüm hukuki işlemlerinin şeffaflığı, taşınmazların doğrudan satış pratiğinin önlenmesi ve Hükümetin Etkinlik Departmanı tarafından gerçekleştirilen büyük satın almaların detaylı kontrolü dahil olmak üzere, son dönemlerde atılan adımlardan bahsetti.

Başbakan ve iş dünyası arasındaki toplantı genişletilmiş formatta soru-cevap şeklinde gerçekleştirildi. Toplantıya iş dünyasının farklı sektörlerinden 80'den fazla temsilci katıldı.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ქვეყნის ეკონომიკაში არსებულ დადებით ტენდენციებსა და მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპზე, რომლითაც საქართველო ფართო რეგიონსა და ევროპაში პირველ ადგილზეა.

მთავრობის მეთაურმა ისაუბრა ქვეყანაში სიღარიბის შემცირებისა და დასაქმების ზრდის კუთხით არსებულ პოზიტიურ მაჩვენებლებზე. ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, რომ გასულ წელს 68 ათასი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა, რაშიც დიდია ბიზნესის წვლილი, ვინაიდან სწორედ ბიზნესი ქმნის სამუშაო ადგილებს და ბიზნესმენებს მადლობა გადაუხადა.

ბიზნესთან შეხვედრისას ირაკლი კობახიძემ ყურადღება გაამახვილა კორუფციის მაქსიმალურად შემცირების მიზნით მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე, მათ შორის საკადრო გადაწყვეტილებებზე. აღინიშნა, რომ კორუფცია აფერხებს ეკონომიკის განვითარებას და ყველაფერი გაკეთდება კორუფციის დონის მაქსიმალურად შესამცირებლად.

მთავრობის მეთაურმა ასევე ისაუბრა იმ ნაბიჯებზე, რომლებიც ბოლო პერიოდში გადაიდგა, მათ შორის - მთავრობის ყველა სამართლებრივი აქტის გამჭვირვალობა, უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის პრაქტიკის აღკვეთა, აგრეთვე მსხვილი შესყიდვების დეტალური კონტროლი, რასაც მთავრობის ეფექტიანობის დეპარტამენტი ახორციელებს.

პრემიერ-მინისტრისა და ბიზნესის შეხვედრა გაფართოებულ ფორმატში კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. შეხვედრას ბიზნესის სხვადასხვა სფეროს 80-ზე მეტი წარმომადგენელი დაესწრო.

Gürcistan’daki Enflasyon Oranı

ინფლაციის დონე საქართველოში

2025 yılının Haziran ayında, Gürcistan’da bir önceki aya göre enflasyon oranı yüzde -0.01, yıl bazında ise yüzde 4.0 olarak belirlenmiştir. Temel enflasyona gelince, Gürcistan İstatistik Kurumu’nun verilerine göre, bu gösterge 2025 yılının Haziran ayında, geçen yılın aynı dönemiyle karşılaştırıldığında yüzde 2.4

olarak gerçekleşmiştir; tütün hariç yıllık temel enflasyon oranı ise yüzde 2.2 olarak tespit edilmiştir.

Aylık enflasyon oranının oluşumunda temel etki, aşağıdaki gruptaki fiyat değişikliklerinden kaynaklanmıştır:

Gıda ve alkolsüz içecekler: Gruptaki fiyatlar %0,4 oranında azalmış olup, ay içindeki enflasyona yüzde -0,15 olarak yansımıştır.

Giysi ve ayakkabı: Gruptaki fiyatlar %1.4 oranında azalmış olup, ay içindeki enflasyona yüzde -0.07 olarak yansımıştır.

Alkol ve tütün ürünleri: Gruptaki fiyatlar %2.2 oranında artmıştır.

Yıllık enflasyon oranının oluşumunda temel etki, aşağıdaki gruptaki fiyat değişikliklerinden kaynaklanmıştır:

Gıda ve alkolsüz içecekler: Gruptaki fiyatlar %10.1 oranında artmış olup, yıllık enflasyona yüzde 3.34 olarak yansımıştır.

Sağlık: Gruptaki fiyatlar %9.4 oranında artmış olup, yıllık enflasyona yüzde 0.79 olarak yansımıştır.

Çeşitli mal ve hizmetler: Gruptaki fiyatlar %6.7 oranında artmış olup, toplam endekste yüzde 0.33'lük bir yansımaya neden olmuştur.

Ulaşım: Gruptaki fiyatlar %5.3 oranında azalarak yıllık enflasyonda yüzde -0.64 olarak yansımıştır.

2025 წლის ივნისში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში -0.01 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 4.0 პროცენტი შეადგინა. რაც შეეხება საბაზო ინფლაციას, საქსტატის ინფორმაციით, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2025 წლის ივნისში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი 2.2 პროცენტით განისაზღვრა.

ARKAS GEORGIA EFES GEORGIA LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol SİSECAM TAV Airports Ziraat Bank

ყოველთვიური ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები შემცირდა 0.4 პროცენტით, რაც თვის ინფლაციაზე -0.15 პროცენტული პუნქტით აისახა.

ტანსაცმელი და ფეხსაცმელი: ჯგუფში ფასები შემცირდა 1.4 პროცენტით, რაც თვის ინფლაციაზე -0.07 პროცენტული პუნქტით აისახა.

ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ჯგუფში ფასები გაიზარდა 2.2 პროცენტით.

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 10.1 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 3.34 პროცენტული პუნქტით აისახა.

ჯანმრთელობის დაცვა: ჯგუფში ფასები მომატებულია 9.4 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 0.79 პროცენტული პუნქტით აისახა.

სხვადასხვა საქონელი და მომსახურება: ჯგუფში ფასები გაიზარდა 6.7 პროცენტით, რაც 0.33 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიან ინდექსზე.

ტრანსპორტი: ჯგუფში ფასები შემცირდა 5.3 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე -0.64 პროცენტული პუნქტით აისახა.

2025 yılı Ocak-Haziran (I-II çeyrek) verilerine göre, Gürcistan'da turistik ziyaretlerin rekor seviyeye ulaştığı ve tarihi bir maksimum olan 2.3 milyon ziyaretçiye yaklaştığı tespit edilmiştir. Uluslararası gezgin ziyaretlerinin sayısı ise 3.2 milyon olarak kaydedilmiştir.

Ocak-Haziran verilerine göre, Birleşik Krallık ile Avrupa Birliği ülkelerinden rekor bir sayı olan 201 986 ziyaret gerçekleştirildi.

2025 წლის იანვარ-ივნისის (I-II კვარტალი) მონაცემებით, საქართველოში ტურისტული ვიზიტების რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა და ისტორიულ მაქსიმუმს 2.3 მილიონ ვიზიტს მიაღწია. საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტების რაოდენობამ კი 3.2 მილიონი შეადგინა.

იანვარ-ივნისის მონაცემებით ევროკავშირის ქვეყნებიდან, დიდ ბრიტანეთთან ერთად - ვიზიტების რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა, რამაც 201 986 ვიზიტი შეადგინა.

Yenilenebilir Enerji Üretiminde Güneşten Elde Edilen Enerjinin Payı %42'ye Kadar Arttı

განახლებადი ენერგიის გამომუშავებაში მზიდან მიღებული ენერგიის წილი 42%-მდე გაიზარდა

Son 25 yıl içinde, küresel enerji üretiminde kurulu kapasite, yenilenemez kaynaklar için iki katına çıkarken, yenilenebilir kaynakların kurulu kapasitesi beş kat arttı.

Bilhassa, 2000 yılında küresel elektrik üretiminin kurulu gücü 3.5 TW olarak belirlenmişken, 2025 yılı için bu değer 9.5 TW'dir - %53'ü yenilenemeyen kaynaklardan, %47'si ise yenilenebilir kaynaklardan kaynaklanmaktadır.

Ayrıca, özellikle son on yıl içinde küresel yenilenebilir enerji kurulu güç dağılımında önemli değişimler yaşanmıştır.

Güncellenmiş verilere göre, yenilenebilir enerji üretiminde güneşin payı %42'ye çıkmıştır, Hidroelektrik enerji %29, rüzgar %26, diğer yenilenebilir kaynakların payı ise %3m konumundadır.

Son on yılda güneş enerjisinin önemli ölçüde artmış güçleri, büyük ölçüde teknolojinin maliyetindeki belirgin düşüşle açıklanmaktadır.

ბოლო 25 წლის განმავლობაში, გლობალური გენერაციის დადგმული სიმძლავრის არაგანახლებადი წყაროები გაორმაგდა, ხოლო განახლებადი წყაროების დადგმული სიმძლავრე ხუთჯერ გაიზარდა.

კერძოდ, 2000 წელს, გლობალური გენერაციის დადგმული სიმძლავრე 3.5 TW-ს შეადგენდა, 2025 წლისთვის კი ეს მაჩვენებელი 9.5 TW-ია - მათგან 53% არაგანახლებად წყაროებზე მოდის, ხოლო 47% - განახლებად წყაროებზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ გლობალური განახლებადი ენერგიის დადგმული სიმძლავრის დეკომპოზიციამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულის განმავლობაში.

განახლებული მონაცემებით, განახლებადი ენერგიის გამომუშავებაში მზის წილი 42%-მდე არის გაზრდილი, ჰიდროელექტროენერგიის წილი 29%-ს შეადგენს, 26%-ია ქარის წილი, ხოლო 3% - სხვა განახლებადი ენერგიების.

ბოლო ათწლეულში მზის ენერგიის მნიშვნელოვნად გაზრდილი სიმძლავრეები, მეტწილად, ტექნოლოგიის ფასის საგრძნობი შემცირებით აიხსნება.

Irakli Kobakhidze Özbekistan Dışişleri Bakanı ile Bir Araya Geldi

ირაკლი კობახიძე უზბეკეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა

Gürcistan Başbakanı Irakli Kobakhidze, Özbekistan Dışişleri Bakanı Bahtiyor Saidov ile bir araya geldi.

Toplantıda ülkeler arasındaki ikili ilişkilerin meseleleri ele alındı. Gürcistan ile Özbekistan arasındaki mevcut işbirliğinin olumlu dinamiği vurgulandı.

Ekonomi alanında ülkeler arasındaki işbirliğine dikkat çekilmiştir. Gürcistan ile Özbekistan arasındaki ticari-ekonomik ilişkilerin derinleştirilmesi konuları tartışıldı. Doğu ile Batı'yı birleştiren Orta Koridor'un geliştirilmesi yönünde iki ülke arasındaki işbirliğinin önemi vurgulanmıştır.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე უზბეკეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ბახტიორ საიდოვს შეხვდა.

შეხვედრაზე ქვეყნებს შორის ორმხრივი ურთიერთობების საკითხები განიხილეს. ხაზგასმით აღინიშნა საქართველოსა და უზბეკეთს შორის არსებული თანამშრომლობის დადებითი დინამიკა.

ყურადღება გამახვილდა ეკონომიკის სფეროში ქვეყნებს შორის არსებულ თანამშრომლობაზე. განიხილეს საქართველოსა და უზბეკეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების საკითხები. ხაზგასმით აღინიშნა აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი შუა დერეფნის განვითარების მიმართულებით ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის მნიშვნელობა.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol SISECAM TAV Airports Ziraat Bank